

ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის ფუნქციონირება თანამედროვე ქართულ ენობრივ სივრცეში

გიგიაშვილი თეა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.29>

აბსტრაქტი. ქისტური დიალექტი წარმოადგენს უნიკალურ ლინგვისტურ კომპონენტს ჩეჩნური ენის სისტემაში, რომელზეც საქართველოში — ძირითადად პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები საუბრობენ.

ისტორიულად, ქისტური მეტყველების თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესს ზეპირი გადაცემის ფორმა ჰქონდა, რაც ხასიათდებოდა ენობრივი მემკვიდრეობის უშუალო ოჯახურ სივრცეში ბუნებრივი ათვისებით. უფროსი თაობა ფუნქციურად ასრულებდა ენის ძირითადი მატარებლისა და გადაცემის როლს, ხოლო ბავშვები ენას ითვისებდნენ ყოველდღიური კომუნიკაციის გზით — ოჯახსა და თემში. ასეთ მოდელში ენა წარმოადგენდა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას, არამედ როგორც კულტურული მეხსიერებისა და ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქისტური მეტყველების თაობათაშორის გადაცემაში შეინიშნება შესუსტება, რაც გამოწვეულია როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორებით.

ქისტური მოსახლეობა პრაქტიკულად სრულად ბილინგვურია — ისინი თავისუფლად ფლობენ როგორც ქისტურ მეტყველებას, ისე ქართულს. ეს ბილინგვურობა ისტორიულად ჩამოყალიბებული ლინგვისტური რეალობაა, რაც განპირობებულია ქისტების ეთნიკურ-ლინგვისტური იდენტობისა და მათ გარშემო არსებული ქართულენოვანი გარემოს თანაარსებობით.

ბოლო ოცდაათწლეულის განმავლობაში შეიმჩნევა ქართული ენის წამყვანი პოზიციის დამკვიდრება, რაც სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორს უკავშირდება. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართულმა ენამ ქვეყანაში ოფიციალური სტატუსი მოიპოვა სახელმწიფო ინსტიტუციებისა და განათლების სისტემაში. შესაბამისად, ქისტი ახალგაზრდებისთვის ქართულ ენაზე წერა-კითხვა, განათლების მიღება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა ცხოვრების აუცილებელი კომპონენტი გახდა.

ქართული ენის გავლენა ქისტურ დიალექტზე ორმხრივი პროცესია — ერთი მხრივ, ამდიდრებს მას ახალი ელემენტებით, მეორე მხრივ კი, იწვევს ენობრივ ასიმილაციასა და თანდათანობით მისი ფუნქციონირების შესუსტებას ენის გამოყენების სხვადასხვა სფეროში.

2023 წლის ოქტომბერში ჩავატარე სოციოლინგვისტური კვლევა ჩეჩნებით (ქისტებით) კომპაქტურად დასახლებულ თემში, რომელიც მიზნად ისახავდა ქისტური ენის ფუნქციონირების არეალისა და თაობათაშორისი გადაცემის მახასიათებლების გამოკვლევას. კვლევის ფარგლებში გამოვიყენე ანკეტირება და ინტერვიუები თემის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რაც უზრუნველყოფდა ენობრივი მდგომარეობის მრავალმხრივ ანალიზს როგორც ლინგვისტური კომპეტენციის, ასევე ენის გამოყენების პრაქტიკული სივრცეების მიხედვით.

კვლევის მთავარი ამოსავალი იყო ქისტური მეტყველების ფუნქციონირების გამოვლენა კონკრეტულ სოციალურ კონტექსტებში (ოჯახი, საზოგადოებრივი ურთიერთობები, განათლება, საჯარო სივრცე) და მისი თაობათაშორისი გადაცემის მდგრადობის შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ქისტური დიალექტი, ბილინგვურობა, თაობათაშორისი გადაცემა,

ენის ფუნქციონირება, ქართული ენის გავლენა, ენობრივი ასიმილაცია.

ლინგვისტურად ჩეჩნური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის **ნახურ ჯგუფს** მიეკუთვნება ახლო მონათესავე **ინგუშურ** და **ბაცბურ** ენებთან ერთად. ინგუშურსა და ჩეჩნურს შორის შუალედური დიალექტებიც არსებობს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩეჩნური და ინგუშური ენების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი **ვაინახური**, ხოლო ჩეჩნურ, ინგუშურ და ბაცბურ ენებს **ნახური ენები** ეწოდება.

ჩეჩნები (ჩეჩ. ნოხჩი/Noxçi) — ეთნიკური ჯგუფია ჩრდილოეთ კავკასიაში. საკუთარ თავს უწოდებენ „**ნოხჩებს**“ (მხოლოდობით — „**ნოხჩო**“, მრავლობითში — „**ნოხჩიჲ**“). რუსები და სხვა ხალხები მათ ჩეჩნების სახელწოდებით იცნობენ. ნოღაელები „**შეშენ**“-ს უწოდებენ, ოსები — „**ცაცაინაგ**“-ს, ხუნძები — „**ბუტურალ**“-ს, დარგუელები — „**მიჩიხიჩლან**“-ს.

ჩეჩნური ენა ჩეჩნეთის (ავტ. რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში) ოფიციალური ენაა. ჩეჩნური ენა ახალი დამწერლობის მქონე ენაა. 1925 წელს ახალი ლათინური ანბანი შეადგინა ხ. ოშაევმა, რომელმაც 1938 წლამდე იარსება. ამჟამად მოქმედი ანბანი შემუშავებულია 1938 წელს ნ. იაკოვლევის ხელმძღვანელობით და პრაქტიკაშიც დაინერგა იმავე წელს. ეს ანბანი ეფუძნებოდა რუსულ ანბანს, კირილიცას. ჩეჩნური ანბანის კირილურ დამწერლობაზე გადაყვანაც რუსული ენობრივი პოლიტიკის შემაღგენელი ნაწილი იყო, მსგავსად აფხაზური ანბანის კირილიცაზე გადაყვანისა. თუ ჩეჩნები გამოიყენებდნენ ლათინურ ანბანს, ეს ჩეჩნების რუსულ კულტურასთან დაახლოებას ვერ შეუწყობდა ხელს. ამიტომ ჩეჩნების რუსიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად ანბანის „გარუსება“ მოიაზრებოდა.

ჩეჩნურად მოსაუბრე ადამიანთა უმრავლესობა ჩრდილო კავკასიაში - ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ნაწილობრივ დაღესტანში, საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში და ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩეჩენთა დიასპორა), განსაკუთრებით კი იორდანისა და სირიაში ცხოვრობს. კავკასიის საზღვრებს გარეთ კომპაქტურად მოსახლე ჩეჩენთა მეტყველება დღემდე არაა შესწავლილი.

ჩეჩნების დიდმა ნაწილმა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს დატოვა სამშობლო და ამჟამად ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, ნაწილმა უფრო ადრე, 1850 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჩეჩნეთის ანექსიის პერიოდში, დანარჩენებს კი 1944 წელს სტალინის ბრძანებით იძულებით დაატოვებინეს სამშობლო და ყაზახეთში გადაასახლეს. 2002 წლიდან ათი ათასობით ჩეჩენი ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს ევროპის ქვეყნებში.⁴

ამჟამად ქისტები სახლობენ პანკისში. პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში შედის, ახმეტის რაიონში.

ჩეჩნების (ქისტების) მიგრაცია საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს მთიანეთში და ხდებოდა მათი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ხევში, ხევსურეთში, მთიულეთში, ფშავში და თუშეთში გვხვდება ქისტური წარმოშობის გვარები. ქისტების ქართველებთან ასიმილირებას ადასტურებს აღნიშნულ ტერიტორიებზე და ახმეტის რაიონში არსებული ტოპონიმებიც. ქისტების პანკისში დასახლების პერიოდი ხანგრძლივად და მტკივნეულად მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებამდე პანკისის ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) ცხოვრობდა ჩეჩნური წარმოშობის ხალხი თავისი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესაბამისად.

⁴ ჩეჩნები ახლო აღმოსავლეთში. დაარქივებულია ორიგინალიდან — 2011-07-22. ციტირების თარიღი: 2011-02-23.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, საყოველთაო მატერიალურმა სიდუხჭირემ განაპირობა პანკისის ქისტური მოსახლეობის მიგრაცია, რასაც შედეგად ხეობის სოფლების დაცარიელება მოჰყვა. ქისტების ეთნიკური ჯგუფიდან ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკის ადამიანებმა ჩეჩნეთს მიაშურეს. რთულია ზუსტად განისაზღვროს ამ პერიოდში ქისტების რიცხოვნება საქართველოში, რადგან ადგილი ჰქონდა ორმხრივ მიგრაციულ პროცესს — საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში და, პირიქით. XX საუკუნის ბოლო წლებში ჩრდ. კავკასიაში არსებული მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩეჩნეთ-რუსეთის ომის (1994 - 1996 წწ.) გამო ქისტების უმრავლესობა (დაახლოებით 2 000 ადამიანი) დაუბრუნდა პანკისის ხეობას. ამას მოგვიანებით დაემატა ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი, რომელმაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად 1999 წელს პანკისის ხეობაში მოიყარა თავი (ეთნოსები საქართველოში, 2010 : 160-165).

საქართველოს მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ქისტური მოსახლეობა 5 455 ადამიანიდან 7 110-მდე გაიზარდა. ამავე მონაცემებით, საქართველოში 7 110 ქისტი//ჩეჩენია აღრიცხული, მათგან, 6 997 სული — კახეთში, მცირე რაოდენობით — თბილისში (73 სული), ქვემო ქართლში (22 სული). საქართველოდან ჩეჩენი დევნილების თანდათანობით გასვლის შედეგად, მნიშვნელოვნად მოიკლო ქისტ/ჩეჩენთა საერთო რაოდენობამ.

2014 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 5 697 ქისტი/ჩეჩენი.⁵

საქართველოში დაფუძნების შემდეგ პანკისელი ქისტები ქვეყნის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ამიტომაც ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი უშუალოდ აისახებოდა მათ ყოფასა და ცხოვრებაზე (მამისიმედიშვილი, 1997 : 76).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოში დასახლებისთანავე ქისტებმა მამის სახელს ქართული დაბოლოება „შვილი“ დაუმატეს და მათმა გვარებმა ქართული გაფორმება მიიღო. ამ ფორმით ჩამოყალიბდა ქისტების გვარების ქართული ვერსიები, რაც მიგვითითებს როგორც ინტეგრაციის სურვილზე, ასევე ადგილობრივი კულტურისადმი პატივისცემასა და იდენტობის ადაპტაციის პროცესზე ქართულ სოციალურ სივრცეში.

ამ ხალხის წარმომადგენლებს მოსახლეობის აღწერისას ეროვნების გრაფაში ეწერებოდათ ქისტი, მშობლიურ ენად - ქართული და აღიწერებოდნენ ქართველებად. სკოლაში ვაჟა-ფშაველას პოემების („სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“) შესწავლისას ქისტები ისე აღიქმებოდნენ ქართველ მოსწავლეთა შეგნებაში, როგორც ქართველური ტომი, ისევე როგორც სვანი, ინგილო, მეგრელი, ხევსური და სხვა... ორასწლიანმა ცხოვრებამ საქართველოში და ქართულმა კულტურამ ისეთი ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ამ ჩეჩნურ ტომზე, რომ ჩამოყალიბდა ახალი ჩეჩნურ-ქართული ეთნოსი, რომელიც ატარებდა როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ კულტურას (ხანგოშვილი, 2005 : 9-10).

სულ სხვაგვარად ყალიბდება ეროვნული თვითშეგნების პროცესები, როდესაც საქმე ეხება კომპაქტურ დასახლებას. პანკისის ხეობაში ქისტების კომპაქტურმა დასახლებამ, ხეობაში სხვა ხალხებთან შედარებით მრავალრიცხოვნებამ განაპირობა ის, რომ ამჟერად ქისტებმა განიცადეს არა ასიმილაცია, არამედ ადაპტაცია და შეინარჩუნეს თვითმყოფადობა: ენა, რელიგია, ადათ-წესები, კულტურა... ა. ოჩიაურის

⁵ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები: <http://pop-stat.mashke.org/georgia-ethnic-loc2014.htm>

ცნობით, ერეკლე მეფის დროს ახმეტის რაიონის სოფლებში - ქისტაურსა და ქისტნელში ცხოვრობდნენ ქისტების ეთნიკური ჯგუფები, რომლებმაც შემდგომში განიცადეს ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხოლო ქისტური ტოპონიმები (ქისტაური, ქისტნელი, საქისტო) დარჩა უცვლელი (ხანგოშვილი, 2005 : 322-323).

საქართველოში გავრცელებულია ჩეჩნური ენის **ქისტური დიალექტი**. ამჟამად ქისტებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია: **დუმასტური, ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი, ხალაწანი (ქვემო, შუა და ზემო), წინუბანი, ძიბახევი, ყვარელწყალი**. ზემო ხალაწანში ქისტებთან ერთად ცხოვრობენ ფშავლები. დუმასტურში, ქვემო ხალაწანსა და წინუბანში ქისტების ჩასახლებამდე ოსები ცხოვრობდნენ. ამ ბოლო პერიოდში ოსების დიდმა ნაწილმა ეს სოფლები მიატოვა. ქისტები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სოფელ **ქორეთშიც**.

ქისტური მეტყველება ჩეჩნური ენის სხვადასხვა კილოს, კილოკავისა თუ თქმის ნარევია. მასში შეიმჩნევა როგორც სალიტერატურო ჩეჩნურისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და მორფოლოგიური თავისებურებები, ასევე მთიან რეგიონებში გავრცელებული ჩეჩნური ენის თქმის ფორმები. ქისტური მეტყველება გამოირჩევა გარკვეული ფონეტიკური და ლექსიკური თავისებურებებით, რომლებიც განასხვავებს მას როგორც თანამედროვე ჩეჩნეთის სხვადასხვა რეგიონში გამოყენებული კილოკავებისგან, ისე თავად სტანდარტული ჩეჩნური ენისგან. ეს გარკვეულწილად აიხსნება ქართული ენის მჭიდრო ლინგვისტურ-სოციალური კონტაქტით. ქისტურმა მეტყველებამ დიდწილად შეინარჩუნა არქაული ფორმები, რაც მას ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით ფასეულ რესურსად აქცევს. მისი ასეთი სიჭრელე გარკვეულწილად იმის მიზეზია, რომ დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არაა დაზუსტებული ქისტური მეტყველების ადგილი ჩეჩნური ენის დიალექტებს შორის. ზოგი მკვლევარი საერთოდ უარყოფს ასეთი დიალექტის არსებობას, რადგან, მათი აზრით, ქისტურის კილოკავები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ამჟამადაც არის გავრცელებული. ამჟამად ქისტური დიალექტის მატარებლები არიან ჩეჩნეთის ორი მთიანი რეგიონის ხალხი - **იტუმ-კალინსკი** და **გალანჩოყსკი** (ფარეულიძე, 2011 : 8).

ქისტურ დიალექტში მრავლადაა ქართული ლექსიკა. ქართულმა ენობრივმა გარემომ ნაწილობრივ იმოქმედა ქისტური დიალექტის ფონეტიკურ ცვლილებებზე, რაც ხშირად უკავშირდება ქისტი მოსაუბრეების მიერ ორივე ენის პარალელურ გამოყენებას. გარკვეული ქართული სინტაქსური გავლენა შეიმჩნევა ახალგაზრდა თაობის მეტყველებაშიც — მათ ქისტურ საუბარში ხშირია ქართული სიტყვების წყობის მოდელების გადმოტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნური ენა აგლუტინაციური ტიპისაა და ქართული — ფლექსიური, მაინც შეინიშნება გარკვეული მორფოლოგიური ნასესხობებიც, განსაკუთრებით ნაწილაკებისა და კავშირების გამოყენებისას.

ქისტური მეტყველება ამჟამად საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და მეცნიერთა მიერ ცალსახად არის კლასიფიცირებული, როგორც ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი. ჯერ კიდევ 150 წლის წინ კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი **პ.უსლარი** წერდა, რომ „პანკისელი ქისტების ენის ცალკე ენად მიჩნევა შეუძლებელია და ის ჩეჩნური ენის დიალექტიაო“ (Услар, 1988 : 12-14).

ქისტურ დიალექტში ლინგვისტები კიდევ განარჩევენ ორ კილოკავს, ესენია: **მაისტური** (დუისი, ჯოყოლო) და **ხილდიხაროული** (ომალო). ოდნავ განსხვავებულია შუა ხალაწანის მეტყველება, ისინი თავს ახიელთა შთამომავლებად თვლიან (ფარეულიძე, 2011 : 9).

ქისტური მეტყველება ფუნქციონირებს ნახური ენებისაგან იზოლირებულად —

უშუალო კონტაქტის გარეშე. შესაბამისად, იგი განვითარდა ქართული ენის ძლიერი ზეგავლენის პირობებში. განსაკუთრებული ინტენსივობით ეს გავლენა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეინიშნება, როცა ქისტურ სოფლებში გაიხსნა ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები, გავრცელდა ქართული პერიოდული გამოცემები, ამუშავდა რადიო და ტელევიზია. ამან ხელი შეუწყო ორენოვნების ჩამოყალიბებას ქისტურ საზოგადოებაში.

ამ კონტექსტში ქისტური მეტყველების ლინგვისტური კვლევა მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს როგორც კავკასიოლოგიისთვის, ისე ზოგადად ენათმეცნიერებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქისტურთან ერთად წარმოდგენილია კიდევ ერთი ნახური დიალექტი — **წოვა-თუშური** (ბაცბური), თუმცა ქისტური განსხვავებული ენობრივი განვითარებით გამოირჩევა.

ენათმეცნიერ როსტომ ფარეულიძის აზრით, პანკისურ ქისტურში, ქართულიდან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობა სოფლების მიხედვით განსხვავებულია. გარდა ამისა, სოფელ დუისის მეტყველებაში ნასესხები სიტყვები უფრო მეტად „გაქისტურებულია“, ვიდრე ჯოყოლურსა და ომალოურში.

პანკისელი ქისტები განათლებას ქართულად იღებენ და ქართული მათთვის მეორე მშობლიურ ენად იქცა.


ჩეჩნური ენა ქისტურ დასახლებათა სკოლებში 1944 წლამდე ისწავლებოდა. დაახლოებით 70 წლის შემდეგ, 2016 წლის სექტემბრიდან, ჩეჩნურის სწავლება ხუთ საჯარო სკოლაში აღდგა. 2015-2016 სასწავლო წლიდან პირველად გახდა შესაძლებელი, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების შესწავლა სახელმწიფოს მიერ კვირაში 2-საათიანი დატვირთვით დაფინანსებულიყო. ესგ-ს მიხედვით მშობლიური ენის შესწავლა სავალდებულო საგნად არ ითვლება და არჩევითია. ჩეჩნურად წერა-კითხვის სწავლა მხოლოდ მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ, რადგან სახელმძღვანელოების პრობლემაა და საგანი უფროსკლასელებისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია სწორედ წიგნების უქონლობის გამო. სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად ჩეჩნურ ენაზე არ გამოიცემა ჟურნალ-გაზეთები.

2023 წლის ოქტომბერში ჩავატარე სოციოლინგვისტური კვლევა და ანკეტირება ჩეჩნებით (ქისტებით) კომპაქტურად დასახლებულ თემში. სოციოლინგვისტური გამოკვლევის სამიზნე პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელი — **ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი** და **ხალაწანი** იყო. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 150 რესპონდენტმა. ანკეტირება ანონიმური იყო.

მონაცემები შევავსოვე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისგან (მოზარდები, მოზრდილები, ხანდაზმულები), რაც უზრუნველყოფდა ენის ფუნქციონირების რეალური სურათის ჩვენებას. განსაზღვრავდა მშობლიური და სახელმწიფო ენების ურთიერთდამოკიდებულებას და მათი გამოყენების სფეროებს.


სტატიაში წარმოვადგინე ანკეტირების მხოლოდ სამი შეკითხვის ანალიზი. ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე: **როგორ ფლობენ მშობლიურ ენას**, გამოკითხულთა 100%-მა დადებითად უპასუხა, ანუ ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტს თავისუფლად ფლობს გამოკითხულთა 100%.

გამოკითხულთა 100%-იანი ენობრივი კომპეტენცია ქისტურ დიალექტში მიუთითებს იმაზე, რომ ენა სიცოცხლისუნარიანია და მისი თაობათაშორისი გადაცემის მექანიზმი ფუნქციონირებს. (იხ. სურათი 1):




კითხვაზე, თუ რომელია პანკისის ქისტი მოსახლეობის **სასაუბრო ენა ოჯახში**, ასეთი სურათი გვაქვს (იხ. სურათი 2): ოჯახში საუბრის ენა 82%-ისთვის მხოლოდ ჩეჩნურია, 10% საუბრობს ქართულ და ჩეჩნურ ენებზე, 7% ქართულ ენას გამოიყენებს, 1% — რუსულ ენას. პანკისის ჩეჩენი მოსახლეობა ბილინგვალაა, ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულ და ჩეჩნურ ენებს. 1%, რომელიც აქტიურად გამოიყენებს რუსულ ენას, სავარაუდოდ ჩეჩნეთიდან პანკისში ახალჩამოსახლებულთა რიცხვს წარმოადგენს.

სურათი 2:



საინტერესო სურათი მოგვცა **ენის პრესტიჟულობის განსაზღვრამ**. რესპონდენტთა საკმაოდ მაღალ, 55%-ს, ინგლისური მიაჩნია პრესტიჟულ ენად. მშობლიურ ენას 10%-მა მიაანიჭა უპირატესობა, 30%-მა ქართულ ენას და 5%-მა რუსულ ენას (იხ. სურათი 3).



კვლევის ზოგადი შედეგები ასეთია:

1. რესპონდენტთა უმეტესობა ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყენებს ჩეჩნურ/ქისტურ ენას, განსაკუთრებით ოჯახსა და თემში.
2. ქართული ენა ძირითადად გამოიყენება საჯარო სივრცეში — სკოლაში, სახელმწიფო უწყებებში, ბაზარსა და მედია სივრცეში.
3. თაობათა შორის ენის ფლობის მცირედ განსხვავებული სურათი გვაქვს. ახალგაზრდა თაობა (15–30 წელი) უკეთ ფლობს ქართულ ენას, ამ ასაკის რესპონდენტები ბილინგვალეები არიან.
4. ხანდაზმულების შემთხვევაში დამახასიათებელია ჩეჩნურის პრიორიტეტულობა, ქართულს კი უფრო შეზღუდულად გამოიყენებენ ყოველდღიურობაში.
5. ჩეჩნური/ქისტური ენა აღიქმება როგორც ეთნიკური იდენტობის მთავარი ელემენტი.
6. ქართული ენა მიიჩნევა აუცილებელ პირობად სოციალურ წარმატებაში — განათლების, დასაქმების და სახელმწიფო ინსტიტუციებში მონაწილეობისთვის.
7. ოჯახებში ჩეჩნური/ქისტური ენის გადაცემის ტრადიცია შენარჩუნებულია, თუმცა აღინიშნება ენის შერევის და ლექსიკური დანაკარგის ნიშნები, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისათვის.
8. კვლევამ ცხადყო, რომ პანკისის ხეობაში არსებობს სოციოლინგვისტური ბალანსი, ჩეჩნური და ქართული ენები თითქმის თანაბრად გამოიყენება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, არის იდენტობის დინამიკა — მისი შენარჩუნების, ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის მექანიზმები სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში. ქისტური იდენტობის შემთხვევა საქართველოს პანკისის ხეობაში ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და კომპლექსურია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში ხეობიდან ნაწილის მიგრაცია

ჩეჩნეთში (ან რუსეთში, ძირითადად გროზნოსა და მისი შემოგარენის მიმართულებით) გაიზარდა, ნაწილი ევროპაში მიდის სამუშაოდ, უმრავლესობა მაინც ინარჩუნებს კავშირს საქართველოსთან — როგორც სამართლებრივად, ისე ფიზიკურად: მათი უმეტესობა ფლობს საცხოვრებელ სახლებს და ოჯახის წევრები საქართველოში ჰყავთ. ქისტების ჩეჩნეთში ან ევროპაში მიგრაციას, როგორც წესი, ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს და არ ასოცირდება რაიმე კულტურულ-პოლიტიკურ მიზანთან. მათი მიგრაცია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, მაშინ როცა სიმბოლური „სახლი“ და კულტურული მემკვიდრეობა საქართველოსთან ასოცირდება.

მიუხედავად ეთნიკური ჩეჩნური წარმოშობისა, პანკისელი ქისტებისთვის სამშობლო პირველ რიგში საქართველო და კონკრეტულად — პანკისის ხეობაა. ისინი თავიანთ თავს აღიქვამენ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებად, რომელთა ყოფიერება ამ მიწაზე ათწლეულებით არის გამყარებული.

ქისტებისთვის საქართველო არ წარმოადგენს მხოლოდ საცხოვრებელ გეოგრაფიულ სივრცეს. აღსანიშნავია, რომ ქისტების საზოგადოებრივ ინტეგრაციას ხელს უწყობს მათი ორიენტაცია მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, განათლებასა და ენობრივ ადაპტაციაზე. ისინი, როგორც წესი, ქმნიან ორენოვან სივრცეს — ქისტურ-ქართულს. მათ მიერ ჩამოყალიბებული ბილინგვური გარემო — ქისტურ-ქართული საკომუნიკაციო სივრცე — უზრუნველყოფს როგორც ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას, ისე ეფექტურ ინტეგრაციას ქართულენოვან საზოგადოებაში.

ლიტერატურა:

1. ეთნოსები საქართველოში (2010): საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.
2. მამისიმედიშვილი, ზვთ. (1997): ვაინახები და ქართველი მთიელები. თბილისი, გამომცემლობა „ლომისი“.
3. ფარულიძე რ. (2011): ჩეჩნური ენა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ჩიქოვაძე არნ. (2008): იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. ხანგოშვილი ხ. (2020): ქისტები. თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.
6. ხანგოშვილი ხ. (2015): ქისტების ადათ-წესები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
7. ჯალაბაძე ნ. (2007): ჩეჩნური ფაქტორი და ეთნო-პოლიტიკური ვითარება საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბილისი.
8. Услар П. К. (1988): Этнография Кавказа. Языкознание. II. Чеченский язык, Тифлис.

The functioning of the Kist dialect of the Chechen language within the modern Georgian linguistic Space

Gigitashvili Tea

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The Kist dialect is a distinctive element of the Chechen language, spoken by the Kist people living mainly in the Pankisi Gorge in Georgia.

Historically, the Kist language was transmitted from generation to generation through oral tradition, with children naturally acquiring the linguistic heritage within their immediate family. The older generation played a key role in transmitting the language, while children acquired it through everyday communication within the family and community. In this model, language served as both a means of communication and a vital element of cultural memory and ethnic identity. However, over the past few decades, there has been a weakening in the intergenerational transmission of the Kist language due to both internal and external factors.

The Kist population is practically completely bilingual — they are fluent in both Kist and Georgian. This bilingualism is a long-standing linguistic reality, arising from the coexistence of the Kists' ethnic-linguistic identity and the surrounding Georgian-speaking environment.

Over the past thirty years, the Georgian language has gained a leading position, associated with various social, political and cultural factors. Following Georgia's independence, the language gained official status within the country's state institutions and education system. Consequently, for Kist youth, reading and writing in Georgian and receiving an education have become necessary components of life, as has the opportunity for professional development.

The influence of the Georgian language on the Kist dialect is a two-way process: on the one hand, the Georgian language enriches the Kist dialect with new elements; on the other hand, this leads to linguistic assimilation and a gradual weakening of the Kist dialect's presence in various areas of language use.

In October 2023, I conducted a sociolinguistic study in a Chechen (Kist) community to investigate the functioning and intergenerational transmission of the Kist language. As part of the study, I conducted interviews and administered questionnaires to different age groups within the community. This approach provided a multifaceted analysis of the linguistic situation in terms of both linguistic competence and the practical use of language.

The study primarily aimed to reveal how Kist speech functions in specific social contexts (e.g. family life, social relations, education and public spaces) and to assess the sustainability of its intergenerational transmission.

Keywords: *Kist dialect; bilingualism; intergenerational transmission; language functioning; influence of the Georgian language; linguistic assimilation.*